კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელწმიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
საჯარო მმართველობა	

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Public Administration	

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
მაგისტრატურა	

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	

სწავლების ენა	
ქართული, ინგლისური კომპონენტებით	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
ინლისურად:	Master of Public Governance
საჯარო მმართველობის პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით 01/05-111; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის 01/01–13 ბრძანებით და კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წლის 22 იანვრის ბრძანებით N 01/01-10 „კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო საგანამანათებლო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ“. განახლებულია 2018 წლის 6 ნოემბერს #01/01-36 ბრძანებით „კავკასიის სახელმწიფო მართვის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ.“ ბრძანება #01/01-28; 13.02.2019. განახლებულია 2021 წლის 9 მარტს, ბრძანება # 01/01-14.
საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი: პროფესორი, დოქტორი **შორენა კახიძე;** თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი,

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედგება 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ–საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, საკურსო, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრედიტ–საათსა და პროფესორთა კონსულტაციების საათებს.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 3 აკადემიური წლისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, 38 ECTS სპეციალობის არჩევითი საგნების მოდული, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის და მშვიდობის კვლევებისა და საგარეო პოლიტიკის ბლოკებს.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS).

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევითი მოდულის საგნების ნაცვლად აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან მობილობის ფარგლებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:
ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) წარმატებით ჩაბარება;
გ) შიდასაუნივერსიტო პროცედურების წარმატებით გავლა. შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში შედის:

1. დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ნიშნების ფურცელი;
2. აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია);
3. 2 ცალი პასპორტის ფოტოსურათი (იგივე ჩაწერილი CD-ზე);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (მამაკაცებისთვის);

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარათი;
7. სამოტივაციო წერილი, რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;
8. შესაძლებელია დაურთოთ ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აპლიკანტის აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამისათვის, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ამ ცოდნის დადასტურება უნდა შეძლოს დიპლომის დანართით, ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირება, რომლის შეფასების კრიტერიუმები დგინდება წინასწარ, სკოლის საბჭოს მიერ. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირების ვალდებულებისაგან.

საბუთების შემოწმების ეტაპის შემდგომ აპლიკანტები დაბარებულ იქნებიან გასაუბრებაზე მიმღებ კომისიასთან, რომლის ფარგლებშიც დგინდება საჯარო მმართველობის დარგის შესახებ აპლიკანტის საბაზისო ცოდნა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია. აპლიკანტი ფასდება 100 ქულიდან, რომელშიც 60 ქულას წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის A ტესტის შედეგები, ხოლო 40 ქულა წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობის ცოდნა, ხოლო 20 ქულით აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი).

პროგრამაზე სტუდენტის მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი ზემოთ დათქმული პირობების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება სტუდენტის მობილობის შესახებ ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საჯარო მმართველობის პროგრამის მიზანი	საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საჯარო მმართველობის სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი არიან ორგანიზაციული მართვისათვის საჭირო თეორიული, მულტიდისციპლინური, მულტისექტორული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნით; გააჩნიათ საჯარო მართვის განხორციელების ინსტიტუციური, სამართლებრივი, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნა; შეუძლიათ ინტეგრირებული მიდგომების საფუძველზე, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაცია და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით კვლევითი თუ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ასევე, შეუძლიათ შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ფასეულობების პრინციპებზე დაყრდნობით მართვისა და ლიდერული ფუნქციების შესრულება. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რაც მდგომარეობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“-ში.
საჯარო	**ცოდნა**

მმართველობის პროგრამის სწავლის შედეგი	1. კურსდამთავრებულს ექნება საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და შეუძლია ორიგინალური იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. 2. გააზრებული ექნება რეგულირებისა და კანონმდებლობის როლი სახელმწიფო მართვაში და აცნობიერებს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლს დემოკრატიული, გამჭვირვალე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში. 3. ექნება მომიჯნავე დარგების და მათ შორის არსებული კავშირების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და აცნობიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამგვარი კავშირების და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობას. **უნარები** 4. შეძლებს გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას, მართვისა და რეგულირების გავლენის მექანიზმების შეფასებას სხვადასხვა სფეროებზე და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. 5. შეძლებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, მკტიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბებას და კვლევის შესაბამის მეთოდებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს. 6. შეძლებს საჯარო რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენებას და პატიოსნებაზე და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდობით, გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების საფუძველზე მდგრადი განვითარების, ღია, შედეგზე ორიენტირებული და კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. ექნება საჯარო მმართველობის სფეროში არსებული და დამკვიდრებული ეთიკური ნორმების პატივისცემა; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს დემოკრატიული მმართველობის პრინციპების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების და კანონის უზენაესობს გათვალისწინებით. 8. შეძლებს განახორციელოს კარგი მმართველობა სხვა ლიდერებთან, საჯარო და კერძო სექტორთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭირდო თანამშრომლობით და ანგარიშვალდებულებით და მიიღოს გამჭირვალე, ანგარიშვალდებული გადაწყვეწტილებები საზოგადოების სასიკეთოდ. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშობის პორინციპების დამცველი.
დასაქმების სფეროები და სტატისტიკური მაჩვენებლები	საჯარო მმართველობის მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საკონსულტაციო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და მაღალი დონის მენეჯერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.
სწავლის გაგრძელების საშუალება	საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში საქართველოში თუ საზღვარგარეთ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუასემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, კვლევა, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.
შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის შესახებ დებულებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტის ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე, მისი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარებისა, ერთდღიანი ლექციების და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საჯარო მართვაში. პროგრამის ბოლოს სტუდენტმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა მოამზადოს სამაგისტრო ნაშრომი, სადაც იგი გამოიყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და კვლევის უნარ-ჩვევებს. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	

1 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 15 მოწვეული ლექტორი.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			სასწავლო კომპონენტი					
			სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული	**20**	**20**	**9**	**3**	**52**
1.	PA 5250	არ აქვს	სახელმწიფო მართვა	6				
2.	ECON 5150	არ აქვს	ეკონომიკა	5				
3.	CLG 5350	არ აქვს	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5				
4.	AW 5150	არ აქვს	აკადემიური წერა	4				
5.	PPA 5250	არ აქვს	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		6			
6.	ECEE 5050	არ აქვს	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია		5			
7.	ALG 5350	არ აქვს	ადმინისტრაციული სამართალი		5			
8.	RM 5251	არ აქვს	კვლევის მეთოდები		4			
9.	PFB 5351	არ აქვს	საჯარო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ბიუჯეტირება			5		
10.	POM 5350	არ აქვს	საჯარო ორგანიზაციების მართვა			4		
11.	TRD 5450	AW 5050, RM 5250	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი				3	
			არჩევითი სასწავლო კურსების მოდული					
			საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ბლოკი	**10**	**10**	**18**	**0**	**38**
12.	MPPI 0050	არ აქვს	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და	5				

			იდეოლოგიები					
13.	SM 5050	არ აქვს	სტრატეგიული მენეჯმენტი	5				
14.	PCOM 5150	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია	5				
15.	LGS 5050	არ აქვს	ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემები		5			
16.	MGS 5350	არ აქვს	პროექტის მართვა		5			
17.	ERG 5050	არ აქვს	ენერგო რესურსების გეოპოლიტიკა		5			
18.	RIA 5051	არ აქვს	რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)			4		
19.	EUAA 5051	არ აქვს	ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები			4		
20.	TAX 5051	ALG 5350 PPA 5250	საგადასახადო სისტემები და საქართველოს საგადასახადო კოდექსი			4		
21.	PM 5050	არ აქვს	საჯარო პერსონალის მართვა			4		
22.	ESPP 5050	არ აქვს	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები			5		
23.	IPE 5050	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა			5		
24.	POLT 5150	არ აქვს	პოლიტიკური თეორია			5		
			მშვიდობისა და საგარეო პოლიტიკის ბლოკი					
25.	CA 5051	არ აქვს	აფხაზეთის კონფლიქტი	5				
26.	TP 5050	არ აქვს	მშვიდობის თეორიები		5			
27.	CMN 5350	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები			5		
28.	GFDP 5350	არ აქვს	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა			4		
29.	WTC 5050	არ აქვს	ომის ტრანსფორმაცია, ასიმეტრიული და ჰიბრიდული კოფლიქტები		5			
			კვლევითი კომპონენტი					30
30.	MAT 5450	RM5250 IRT 5250	სამაგისტრო ნაშრომი				30	
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	27	33	120
			წელიწადში	60		60		120

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები სასწავლო პროცესზე აისახება 2019-2020 აკადემიური წლიდან.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები / პროგრამის სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულთა ეფექტიანად მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ძებნა, ანალიზი, ორგანიზება, მოდელირება, ინოვაციური ფორმებისა და ალგორითმების ეფექტიანობის შეფასება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით.	კურსდამთავრებულთა საჯარო მართვის განხორციელების ინსტიტუციური, სამართლებრივი, ქცევითი მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების საფუძველზე ინოვაციური ფორმით ადწერა.	კურსდამთავრებულთა ინტეგრირებულია მიდგომების საფუძველზე, საჯარო ბიუროკრატიის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაციისა და წესდებამისი ჭეშმარიტი მეთოდების გამოყენებით ჯგუფებით ან ინდივიდუალურ დოკუმენტის შექმნის ფორმით აღწერა.	კურსდამთავრებულთა ეფექტურად ანალიზირებს, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ფასეულობების ჩრდილიჭებზე დაყრდნობით მართვისა და ადმინისტრაციული ფუნქციებით აღწერა.
1. აქვს საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და შეუძლია ორიგინალური იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.	x		x	x
2. გააზრებული აქვს რეგულირებისა და კანონმდებლობის როლი სახელმწიფო მართვაში და აცნობიერებს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლს დემოკრატიული, გამჭვირვალე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში.		x	x	x
3. აქვს მომიჯნავე დარგების და მათ შორის არსებული კავშირების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და აცნობიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამგვარი კავშირების და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობას.	x	x		x

4. შეუძლია გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, მართვისა და რეგულირების გავლენის მექანიზმების შეფასება სხვადასხვა სფეროებზე და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.		**x**	**x**	**x**
5. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, მკტიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბება და კვლევის შესაბამის მეთოდებზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.			**x**	**x**
6. შეძლია საჯარო რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენება და პატიოსნებაზე და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდობით, გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების საფუძველზე მდგრადი განვითარების, ღია, შედეგზე ორიენტირებული და კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრება.	**x**		**x**	**x**
7. აქვს საჯარო მმართველობის სფეროში არსებული და დამკვიდრებული ეთიკური ნორმების პატივისცემა; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს დემოკრატიული მმართველობის პრინციპების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების და კანონის უზენაესობს გათვალისწინებით.	**x**	**x**		**x**
8. შეუძლია განახორციელოს კარგი მმართველობა სხვა ლიდერებთან, საჯარო და კერძო სექტორთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭირდო თანამშრომლობით და ანგარიშვალდებულებით და მიიღოს გამჭირვალე, ანგარიშვალდებული გადაწყვეწტილებები საზოგადოების სასიკეთოდ. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშობის პორინციპების დამცველი.	**x**	**x**		**x**